განკარგულება:**გ-27.27212675**
თარიღი:**24/09/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 67

24 სექტემბერი 2021 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ვახტანგ ხუციშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე ვახტანგ ხუციშვილს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს სოფელ გულგულაში მდებარე 3860 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.09.36.011) და მასზე განთავსებული №1 – 187.6 კვ.მ. და №2 – 49 კვ.მ. შენობა-ნაგებობები.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი